

შპს „ინოვა ინ ვიტროს“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში.....	1
--	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	6
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	15
4. საოპერაციო შემოსავალი.....	17
5. ხარჯების გაშიფვრა მათი ბუნების მიხედვით.....	17
6. ფინანსური ხარჯი, წმინდა.....	18
7. ძირითადი საშუალებები	18
8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	18
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	19
10. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	19
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19
12. ინფორმაცია ფინანსურ რისკებზე.....	19
13. დაკავშირებული მხარეები	22
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	22

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში („ლ“).

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების
მომზადებასა და დამტკიცებაზე
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ინოვა ინვესტრო“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოდგენილი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („IFRS“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული IFRS-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები IFRS-დან წარმოდგენილი და ახსნილი;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება IFRS-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2023 წლის 19 სექტემბერს:

ქეთევან ოსიძე

დირექტორი

ეკატერინე ჯოხაძე

რეპორტირების და ანალიზის სამსახურის უფროსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების
მომზადებასა და დამტკიცებაზე
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ინოვა ინვესტრო“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („IFRS“) შესაბამისად.


ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:


- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული IFRS-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები IFRS-დან წარმოდგენილი და ახსნილი;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება IFRS-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2023 წლის 19 სექტემბერს:


ქეთევან ოსიძე
დირექტორი


ეკატერინე ჯობაძე
რეპორტირების და ანალიზის სამსახურის უფროსი

შპს „ინოვაცია ინვესტიკა“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	გ/შ	2022	2021
საოპერაციო შემოსავალი	4	10,251	8,252
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	5	(6,691)	(5,909)
საერთო მოგება		3,560	2,343
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(821)	(650)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	6	23	18
მოგება/(ზარალი) საკუთრივ სხვაობიდან, წმინდა		(74)	(10)
წლიური მოგება/(ზარალი) გადასახადებამდე		2,688	1,701

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 19 სექტემბერს.

ქეთევან ოსიძე

დირექტორი

ეკატერინე ჯოხაძე

რეპორტირების და ანალიზის სამსახურის უფროსი

შპს „ინოვა ინვესტრო“


სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)


	გ/შ	2022	2021
საოპერაციო შემოსავალი	4	10,251	8,252
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	5	(6,691)	(5,909)
საერთო მოგება		3,560	2,343
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(821)	(650)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	6	23	18
მოგება/(ზარალი) საკუთრო სხვაობიდან, წმინდა		(74)	(10)
წლიური მოგება/(ზარალი) გადასახადებამდე		2,688	1,701

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 19 სექტემბერს.



ქეთევან ოსიძე

დირექტორი



ვახტანგ ჯორჯაძე

რეპორტირების და ანალიზის სამსახურის უფროსი

შპს „ინოვაცია ინვესტი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	გ/შ	31.დეკ-21	31.დეკ-20
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	355	409
არამატერიალური აქტივები		2	3
		357	412
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	567	378
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	1,065	858
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	766	786
		2,398	2,022
სულ აქტივები		2,755	2,434
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი		695	695
გაუნაწილებელი მოგება		1,581	815
		2,276	1,510
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	479	924
		479	924
სულ ვალდებულებები		479	924
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,755	2,434

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 19 სექტემბერს.

ქეთევან ოსიძე


დირექტორი

ეკატერინე ჯოხაძე


რეპორტირების და ანალიზის სამსახურის უფროსი

	გ/შ	31.დეკ.21	31.დეკ.20
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	355	409
არამატერიალური აქტივები		2	3
		357	412
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	567	378
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	1,065	858
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	766	786
		2,398	2,022
სულ აქტივები		2,755	2,434
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი		695	695
გაუნაწილებელი მოგება		1,581	815
		2,276	1,510
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	479	924
		479	924
სულ ვალდებულებები		479	924
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,755	2,434

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 19 სექტემბერს.


ქეთევან ოსიძე

დირექტორი


ეკატერინე ჯორჯაძე

რეპორტირების და ანალიზის სამსახურის უფროსი

შპს „ინოვაცია ინვესტიკა“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

2021 წლის 1 იანვარის მდგომარეობით	695	648	1,343
წლიური მოგება	-	1,701	1,701
დივიდენდების გადახდა	-	(1,534)	(1,534)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	695	815	1,510
წლიური მოგება	-	2,688	2,688
დივიდენდების გადახდა	-	(1,922)	(1,922)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	695	1,581	2,276

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 19 სექტემბერს.

ქეთევან ოსიძე

დირექტორი

ეკატერინე ჯოხაძე


რეპორტირების და ანალიზის სამსახურის უფროსი


შპს „ინოვა ინვეტრო“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

2021 წლის 1 იანვარის მდგომარეობით	695	648	1,343
წლიური მოგება	-	1,701	1,701
დივიდენდების გადახდა	-	(1,534)	(1,534)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	695	815	1,510
წლიური მოგება	-	2,688	2,688
დივიდენდების გადახდა	-	(1,922)	(1,922)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	695	1,581	2,276

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 19 სექტემბერს.


ქეთევან ოსიძე
დირექტორი


ეკატერინე ჯოჯაძე
რეპორტირების და ანალიზის სამსახურის უფროსი

შპს „ინოვა ინვესტრო“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლიური მოგება	2,688	1,701
კორექტირებები:		
- მოთხოვნების გაუფასურება	198	216
- ცვეთა და ამორტიზაცია	145	133
- ძირითადი საშუალების ჩამოწერა	-	4
- საპროცენტო შემოსავალი	(23)	(18)
- მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა	74	10
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/(შემცირება)	(405)	(145)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ზრდა/(შემცირება)	(189)	27
სავაჭრო ვალდებულებების შემცირება/(ზრდა)	(446)	(178)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული ფულადი სახსრები	2,042	1,750
გადახდილი პროცენტი	-	-
საპროცენტო შემოსავალი	23	18
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	2,065	1,768
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(90)	(90)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(90)	(90)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ლიზინგის გადახდა	-	-
დივიდენდების გადახდა	(1,922)	(1,534)
საფინანსო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	(1,922)	(1,534)
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	(73)	(21)
წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში	53	144
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	786	663
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	766	786

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 19 სექტემბერს.

ქეთევან ოსიძე


დირექტორი

ეკატერინე ჯოხაძე


რეპორტირების და ანალიზის სამსახურის უფროსი

	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლიური მოგება	2,688	1,701
კორექტირებები:		
- მოთხოვნების გაუფასურება	198	216
- ცვეთა და ამორტიზაცია	145	133
- ძირითადი საშუალების ჩამოწერა	-	4
- საპროცენტო შემოსავალი	(23)	(18)
- მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა	74	10
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/(შემცირება)	(405)	(145)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ზრდა/(შემცირება)	(189)	27
სავაჭრო ვალდებულებების შემცირება/(ზრდა)	(446)	(178)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული ფულადი სახსრები	2,042	1,750
გადახდილი პროცენტი	-	-
საპროცენტო შემოსავალი	23	18
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	2,065	1,768
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(90)	(90)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(90)	(90)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ლიზინგის გადახდა	-	-
დივიდენდების გადახდა	(1,922)	(1,534)
საფინანსო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	(1,922)	(1,534)
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	(73)	(21)
წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში	53	144
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	786	663
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	766	786

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 19 სექტემბერს.


ქეთევან ოსიძე

დირექტორი


კაკბერიძე ჯამბაკ

რეპორტირების და ანალიზის სამსახურის უფროსი

რეპორტირების და ანალიზის სამსახურის უფროსი

1. ზოგადი ინფორმაცია

„ინოვა ინვეიტრო“ („კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა გინეკოლოგიის და უნაყოფობის დიაგნოსტიკა და მკურნალობა, მათ შორის ორსულობის მონიტორინგის პროგრამები, ულტრასონოგრაფია, ენდოკრინოლოგია, ICSI (ინტრაციტოპლაზმური სპერმის ინექცია), IVF (Invitro Fertilization), TESE, სუროგაციისა და დონაციის პროგრამები. კომპანიის კლინიკა მდებარეობს თბილისში, საბურთალოზე, ზ.ანჯაფარიძის 1-ლი შესახვევი, #6 (ყოფილი სანდრო ეულის 7ა).

კომპანიის მფლობელები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არიან:

შპს „ინოვა“	70%
ქეთევან ოსიძე	30%
	100%

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2.1. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის (მოგება-ზარალის), ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

კომპანია წარმოადგენს მოგება-ზარალის ანგარიშგებას ხარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, რადგან თვლის, რომ ანგარიშგების მკითხველს უფრო გამოსადეგ ინფორმაციას აძლევს ეს მეთოდი, ვინაიდან იგი უკეთესად ასახავს თუ როგორ იმართება ოპერაციები ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე / გრძელვადიან დაყოფას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

კომპანიის მენეჯმენტმა შეაფასა კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და დაკმაყოფილდა იმით, რომ მას გააჩნია რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად. უფრო მეტიც, ხელმძღვანელობისთვის უცნობია რაიმე მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ან ეჭვი დაბადოს კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნართან დაკავშირებით.

შესაბამისად, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

2.2. უკრაინის ომი

უკრაინაში მიმდინარე ომის შედეგად, ბევრმა მოწინავე ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ მკაცრი სანქციები შემოიღო რუსეთის სახელმწიფოს, მათ შორის რუსული ბანკების, სხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების წინააღმდეგ. ომის დაწყების დღიდან მოყოლებული, რუსულმა რუბლმა უცხოური ვალუტების მიმართ მნიშვნელოვანი რყევები განიცადა, დაფიქსირდა ღირებულების მნიშვნელოვანი გაუფასურება რუსეთში ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ასევე შემცირდა უცხო ქვეყნის ბირჟების ლისტინგში არსებული რუსული კომპანიების ღირებულება. თუმცა პროცესი ჯერ არ დასრულებულა, უკვე სახეზეა ჰუმანიტარული კრიზისი და უდიდესი ეკონომიკური დანაკარგები უკრაინაში, რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოში. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან, რის გამოც მოსალოდნელია, რომ ომს არსებითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე. მაგალითად, 2022 წლის განმავლობაში ქართული ლარი მნიშვნელოვნად გამყარდა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ, რაც განაპირობა საქართველოში რუსეთის და უკრაინის მოქალაქეების მიგრაციის გამო შემოძინებულმა უცხოურმა ვალუტამ. რადგან ომი ჯერ ისევ მიმდინარეობს, და გაურკვეველია ზოგადად ეკონომიკაზე რა ხარისხის გავლენას იქონიებს მიმდინარე პროცესები, შეუძლებელია საიმედოდ შეფასდეს რა გავლენა ექნება ომს ჯგუფის საქმიანობაზე. ჯგუფის მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება ეკონომიკურ მდგომარეობას მიმდინარედ არსებულ პირობებში.

2.3. ახალი და შესწორებული ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება

ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

2022 წელს რამდენიმე ცვლილება და ინტერპრეტაცია მოქმედებს პირველად, მაგრამ გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ▶ „კონცეპტუალური საფუძვლების მითითება“ – შესწორებები ფასს (IFRS) 3-ში
- ▶ ძირითადი საშუალებები: შემოსულობა მიზნობრივ გამოყენებამდე – ცვლილებები ბასს (IAS) 16-ში
- ▶ „წაგებიანი ხელშეკრულებები – ხელშეკრულების შესრულების ხარჯები“ – შესწორებები ბასს (IAS) 37-ში
- ▶ ფასს (IFRS) 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ – შვილობილი საწარმო, როგორც საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს-ს

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- ▶ ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ – ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის „10 პროცენტის“ ტესტში მოყვანილი საკომისიოები

ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის დამოუკიდებელი ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

- ▶ ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ – ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის და სავალდებულოა შედარებადი რიცხოვრები მონაცემების წარმოდგენა. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც, თუ საწარმო ასევე გამოიყენებს ფასს 9-სა და ფასს 15-ს, ფასს 17-ის პირველად გამოყენებამდე ან გამოყენების დღეს.
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში: *ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად* – ცვლილებები წლიურ საანგარიშგებო პერიოდებში, რომლებიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ, რეტროსპექტიულად უნდა იქნეს გამოყენებული.
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 8-ში: *სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრება* – ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და ვრცელდება სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებზე, რომლებიც დგება ამ პერიოდის საწყისი თარიღით ან მის შემდგომ.
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში და ფასს-ის პრაქტიკული რეკომენდაცია 2: *სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები* – ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება.
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 12-ში: *გადავადებული გადასახადი, რომელიც უკავშირდება ერთი ოპერაციიდან წარმომდგარ აქტივებს და ვალდებულებებს* – უნდა გავრცელდეს იმ ოპერაციებზე, რომლებიც დგება წარმოდგენილი უადრესი შესაძარისი პერიოდის დაწყების თარიღით ან მის შემდეგ.

კომპანია ამჟამად აფასებს განახლებული სტანდარტების და ცვლილებების შესაძლო გავლენას.

2.4. ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში

ერთობლივი საწარმო არის ერთობლივი საკმეიანობა, რომლის დროსაც მხარეებს, რომლებსაც გააჩნიათ ერთობლივი კონტროლის უფლება საკმეიანობაზე, აქვთ უფლებები ამ საკმეიანობის წმინდა აქტივებზე.

ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში აღირიცხება ბუღალტრული აღრიცხვის წილობრივი მეთოდის გამოყენებით, რომლის მიხედვითაც ინვესტიცია თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და შემდგომში კორექტირდება ინვესტორის წილით საწარმოს სრულ შემოსავალში.

ინვესტიციის შეძენისას, ობიექტის იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები იზომება სამართლიანი ღირებულებით. ამ უკანასკნელში ინვესტორის წილზე ინვესტიციის ღირებულების ნამეტი აღიარდება, როგორც გუდვილი, რომელიც შესულია ინვესტიციის ღირებულებაში. გუდვილის შემოწმება გაუფასურებაზე ხდება ინვესტიციასთან ერთად, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, როცა არსებობს ინვესტიციის გაუფასურების ობიექტური საშუალება. თუ

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

პირიქით, ობიექტის იდენტიფიცირებად წმინდა აქტივებში ინვესტორის წილი აღემატება ინვესტიციის ღირებულებას, სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალში.

ინვესტიციის შეძენის შემდეგ, ინვესტორის წილი ობიექტის მოგება-ზარალში აღიარდება ინვესტორის მოგება-ზარალში, ხოლო წილი სხვა სრულ შემოსავალში აღიარდება ინვესტორის სხვა სრულ შემოსავალში. შესაბამისად კორექტირდება ინვესტიციის საბალანსო ღირებულება. თუ ობიექტს აქვს ზარალი, რომელში ინვესტორის წილიც აღემატება ინვესტიციას, ინვესტორი არ აღირებს ზარალს თუ მას არ აქვს აღებული ვალდებულება, გაისტუმროს ობიექტის ვალები. ობიექტიდან მიღებული თანხებით მცირდება ინვესტიციის საბალანსო ღირებულება.

მოგება/ზარალი ინვესტორის ტრანზაქციებიდან ობიექტთან, ელიმინირდება ინვესტორის წილის შესაბამისად.

2.5. შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს კომპანია და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი.

სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება, როცა მომსახურების გაწევა დასრულებულია, ამ შემოსავლის მისაღებად გაწეული ხარჯების შესაბამისად. შემოსავალი არის მომსახურების საფასურად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას გამოკლებული უკან დაბრუნებები, სავაჭრო ფასდაკლებები და გაყიდვებზე დამოკიდებული გადასახადები (ასეთების არსებობის შემთხვევაში).

2.6. იჯარა

ხელშეკრულების გაფორმების დროს კომპანია აფასებს, ხელშეკრულება წარმოადგენს ან შეიცავს თუ არა იჯარას. ანუ თუ ხელშეკრულება გულისხმობს გარკვეული პერიოდის განმავლობაში კონკრეტული აქტივის გაკონტროლების ან გამოყენების უფლებას ანაზღაურების სანაცვლოდ.

კომპანია, როგორც მოიჯარე

იჯარის დაწყების თარიღისთვის საიჯარო ვალდებულება ფასდება მომავალი საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულებით. აქტივი გამოყენების უფლების თავდაპირველი აღიარება ხდება საიჯარო ვალდებულების ოდენობით, რასაც ემატება მანამდე შესრულებული საიჯარო გადახდები (მიღებული საიჯარო შეღავათების გამოკლებით), კომპანიის მიერ გაწეული ყველა თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯი და კომპანიის მიერ ნაკისრი დემონტაჟის ან აღდგენის სავარაუდო დანახარჯები.

საიჯარო გადახდები ნაწილდება ფინანსურ დანახარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის იმგვარად, რომ წარმოიქმნას მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე. ფინანსური დანახარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, თუ ისინი პირდაპირ არ არის მიკუთვნებადი განსაკუთრებული აქტივებისთვის, რა შემთხვევაშიც ხდება მათი კაპიტალიზაცია ნახესხებ სახსრებთან დაკავშირებით კომპანიის ზოგადი პოლიტიკის შესაბამისად. ფინანსური იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდებში, რომლებშიც ისინი გაიწია.

საიჯარო გადახდები, რომლებიც არ განაპირობებს აქტივის გამოყენების უფლებას, აღიარებულია, როგორც ხარჯი საიჯარო ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. ასეთი იჯარებიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

2. მნიშვნელოვანი სადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოკლევადიანი იჯარები (მაქსიმუმ 12-თვიანი საიჯარო ვადით) და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები (როგორცაა პერსონალური კომპიუტერები და საოფისე ავეჯი) აღიარდება საიჯარო ხარჯის სახით დარიცხვის წრფივი მეთოდით, ფასს 16-ით გათვალისწინებული წესით. საიჯარო ხელშეკრულებების შეწყვეტით ან შეცვლით განპირობებული ყოველგვარი შემოსულობა/(ზარალი) აისახება მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგების ზოგადი, ადმინისტრაციული და გაყიდვის ხარჯების მუხლში.

2.7. იჯარით აღებული აქტივები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების, აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რაც შეადგენს 5 წელს.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

2.8. არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის (15% წრფივი მეთოდი) გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

2.9. არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას შორის უმეტესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი არ წარმოქმნის ფულადი სახსრების შემოღინებას სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. თუ ადგილი აქვს ასეთ შემთხვევას, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელსაც ეკუთვნის აქტივი.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.10. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე. დაუმთავრებელი და მზა პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს, პირდაპირ ხელფასებს და ნორმალური ფუნქციონირების შესაბამის საწარმოო ზედნაღებ დანახარჯებს.

მომკვლევადი მარაგების ჩამოწერა ხდება მათი მომავალში მოსალოდნელი გამოყენების და წმინდა სარეალიზაციო ღირებულების ანალიზის შედეგად.

2.11. ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორისთვის – ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგი კატეგორიების მიხედვით: შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული.

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათი მართვისთვის გამოყენებულ კომპანიის ბიზნეს მოდელზე. იმ სავაჭრო დებიტორული ანგარიშების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს ან რომლებისთვისაც კომპანიამ პრაქტიკული მიზნის მიღწევის საშუალება გამოიყენა, თავდაპირველად კომპანია ფინანსურ აქტივს აფასებს მისი რეალური ღირებულებით პლუს, მოგებაში ან ზარალში ასახული რეალური ღირებულებით არ შეფასებული ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გარიგების ხარჯები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკული მიზნის მიღწევის საშუალება გამოიყენა, ფასს 15-ში განსაზღვრული გარიგების ფასით შეფასდება.

იმისთვის, რომ ფინანსური აქტივი ამორტიზებული ღირებულებით ან სხვა სრულ შემოსავალში ასახვის გზით რეალური ღირებულებით კლასიფიცირდეს და შეფასდეს, საჭიროა ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობა, როგორიცაა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდა. ასეთი შეფასება მოხსენიებულია, როგორც მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდების შემოწმება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად კლასიფიცირდება:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები);
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვის გზით რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები კუმულაციური მოგებისა და ზარალის გადამუშავებით (სავალო ინსტრუმენტები);
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვის გზით რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური მოგებისა და ზარალის გადამუშავების გარეშე (წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტები);
- მოგებაში ან ზარალში ასახვის გზით რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე რელევანტურია. კომპანია ფინანსური აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ ორივე ქვემოთ მითითებული პირობა დაკმაყოფილდება:

- ფინანსური აქტივის ფლობისთვის ისეთი ბიზნეს მოდელია შერჩეული, რომლის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოქმნის ისეთ ფულად ნაკადებს, როგორიცაა მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდა.

ფინანსური აქტივი შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და გაუფასურებას ექვემდებარება. მოგება და ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება გაუქმდება, შეიცვლება ან გაუფასურდება. კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას მოიცავს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება არის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების სანაცვლოდ კლიენტებისგან მიღებული თანხები. თუ თანხების მიღება ერთი წლის განმავლობაში ან უფრო ნაკლებ ვადაში (ან საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, თუ უფრო ხანგრძლივია) არის მოსალოდნელი, ეს აქტივები მიმდინარე (მოკლევადიანი) აქტივებად, წინააღმდეგ შემთხვევაში კი გრძელვადიანი აქტივებად კლასიფიცირდება.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება თავდაპირველად წყდება მაშინ, როდესაც:

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებებს ვადა გაუვა; ან
- კომპანია გაასხვისებს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებას ან ვალდებულების გადაკისრების ხელშეკრულების ფარგლებში მიღებულ ფულად ნაკადებს სრულად, არსებითი დაგვიანების გარეშე, მესამე პირს გადაუხდის; და (ა) კომპანია ასევე გაასხვისებს აქტივის ფლობის ყველა რისკს და სარგებელს;
- ან (ბ) კომპანია ფლობის ყველა რისკს და სარგებელს არც გაასხვისებს და არც შეინარჩუნებს, მაგრამ მათზე კონტროლს გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს აღიარებს მოგებაში ან ზარალში ასახული რეალური ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტების მიმართ. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება ხელშეკრულების საფუძველზე გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებს შორის სხვაობას. მომავალში მისაღები ფულადი ნაკადები მოიცავს უზრუნველყოფის საგნის ან კრედიტის ხარისხის გაუმჯობესებისთვის წარდგენილი სხვა დამატებითი უზრუნველყოფის საგნის (რაც სახელშეკრულებო პირობების განუყოფელი ნაწილია) რეალიზაციის შედეგად მიღებულ ფულად ნაკადებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ორ ეტაპად ხდება. იმ საკრედიტო პოზიციებისთვის, რომელთა საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება მომდევნო 12 თვეში დეფოლტის შემთხვევით წარმოქმნილი საკრედიტო ზარალისთვის (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). იმ საკრედიტო პოზიციებისთვის, რომელთა საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება საკრედიტო პოზიციის დარჩენილი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის, დეფოლტის ხანგრძლივობის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო დებიტორული დავალიანებისა და სახელშეკრულებო აქტივებისთვის, კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების გამარტივებულ მიდგომას. აქედან გამომდინარე, კომპანია საკრედიტო რისკში მიმდინარე ცვლილებებს თვალყურს არ ადევნებს, ის

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყოველი ანგარიშგების დღეს აღიარებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით. კომპანიამ შეიმუშავა საკრედიტო ზარალის ისტორიულ გამოცდილებაზე დაფუძნებული რეზერვის მატრიცა, რომელიც მორგებულია მის დებიტორებთან და ეკონომიკურ გარემოსთან დაკავშირებულ საპროგნოზო ფაქტორებზე.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოგებაში ან ზარალში ასახვის გზით რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, კრედიტორული დავალიანება, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრული წარმოებულები.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხების და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და სესხებს, საბანკო ოვერდრაფტების ჩათვლით.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება მათ კლასიფიკაციაზეა დამოკიდებული, როგორც ქვემოთ არის აღწერილი:

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით მიმდინარე ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შემენის პროცესში მიღებული ნებისმიერი დანამატის ან ფასდაკლების, ასევე ყველა მოსაკრებლის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად პროცენტიან სესხებს მიესადაგება.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულება შესრულება ან გაუქმდება ან მოქმედების ვადა დაუსრუდება. როდესაც იგივე გამსესხებელი არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ახლით ჩაანაცვლებს მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2.12. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული ბასს 23-ით განსაზღვრული განსაკუთრებული აქტივის შემენის, მშენებლობის ან წარმოების პროცესთან, აისახება ამ აქტივის თვითღირებულებაში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯების აღიარება ხდება ხარჯის სახით.

2.13. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების თარიღში გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში (ქართული ლარი, ₾), საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით:

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

	USD / ლ	EUR / ლ
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს	2.70	2.88
საშუალო გაცვლითი კურსი 2022 წელს	2.92	3.08
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს	3.10	3.50
საშუალო გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს	3.22	3.81
დასრულებული პერიოდისთვის		

ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2.14. მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს, საქართველოს პარლამენტმა დააკანონა მოგების გადასახადის ახალი („ესტონური“) მოდელი, რაც ძირითადად გულისხმობს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების დივიდენდად განაწილების შემთხვევაში (ნაცვლად მოგების დაბეგვრისა გამომუშავების მომენტში). შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიის დასაბეგრი მოგება არის გადახდილი დივიდენდების ტოლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შესაბამისი გადასახადი აღიარდება პირდაპირ კაპიტალში გადახდილ დივიდენდებთან ერთად. ამრიგად, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ წლებში არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადი.

2.15. ანარიცხები (რეზერვები)

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის კომპანიას აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ კომპანია შეასრულებს ამ ვალდებულებას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალში.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან შეფასებებს და დაშვებებს კომპანიის სამომავლო ფუნქციონირებაზე. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

საგადასახადო კანონმდებლობა.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს აღნიშნული რისკი.

მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი

კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს გაუფასურების შესაფასებლად. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის ფასს 9-ის მიხედვით ანარიცხი დამოკიდებულია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე (ECL), რომელიც განისაზღვრება შემდგომი თორმეტი თვის განმავლობაში დეფოლტის ალბათობით, თუ არ მოხდა მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში წარმოშობის შემდგომ. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება “შექმნილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების” (POCI)-ის განმარტებას, ანარიცხი დამოკიდებულია ELC-ის ცვლილებაზე აქტივის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში.

დაკავშირებული მხარის ოპერაციები

ჩვეულებრივ, კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს, გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის გასასაზღვრათ, შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი. დაშვების საფუძველს წარმოადგენს მსგავსი ტრანზაქციების ღირებულება არადაკავშირებულ მხარეებთან.

ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს აღნიშნული რისკი.

შპს „ინოვაცია ინვესტი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ათას ლარში)

4. საოპერაციო შემოსავალი

საოპერაციო შემოსავალი შედგება შემდეგი მიმართულებებისგან:

	2022	2021
ამბულატორიული მომსახურება	2,972	2,978
ინ ვიტრო განაყოფიერება	6,234	4,154
ინექციები	897	978
გენეტიკური სკრინინგი	141	122
სხვა შემოსავალი	7	20
	10,251	8,252

5. ხარჯების გაშიფვრა მათი ბუნების მიხედვით

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს გაწეული მომსახურების თვითღირებულებას და საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს მათი ბუნების მიხედვით.

მომსახურების თვითღირებულება

	2022	2021
თანამშრომელთა კომპენსაცია	2,841	2,256
გამოყენებული მარაგები	2,093	2,184
ლაბორატორიული და სხვა სამედიცინო მომსახურება (მათ შორის ემბრიოლოგია)	1,475	1,231
ცვეთა და ამორტიზაცია	134	125
კლინიკის ფართის ქირა	79	75
სხვა	69	38
სულ მომსახურების თვითღირებულება	6,691	5,909

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
თანამშრომელთა კომპენსაცია	323	255
მოთხოვნების რეზერვი	198	216
ბანკის საკომისიო	70	61
სამეურნეო და საოფისე ხარჯი	56	43
შეკეთება და რემონტი	45	40
სხვა	108	18
მარკეტინგი	10	9
ცვეთა და ამორტიზაცია	11	8
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	821	650

შპს „ინოვაცია ინვესტიკა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ათას ლარში)

6. ფინანსური ხარჯი, წმინდა

	2022	2021
სულ საპროცენტო ხარჯი	-	-
მინუს: საპროცენტო შემოსავალი	(23)	(18)
	(23)	(18)

7. ძირითადი საშუალებები

	სამედიცინო აღჭურვილობა	სხვა	სულ
ღირებულება			
1 იანვარი 2021	1,677	122	1,799
შემენა	78	12	90
გასვლა	(30)	-	(30)
31 დეკემბერი 2021	1,725	134	1,859
შემენა	81	9	90
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2022	1,806	143	1,949
დაგროვილი ცვეთა			
1 იანვარი 2021	1,257	86	1,343
პერიოდის ცვეთა	123	10	133
გასვლა	(26)	-	(26)
31 დეკემბერი 2021	1,354	96	1,450
პერიოდის ცვეთა	131	13	144
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2022	1,485	109	1,594
ნარჩენი ღირებულება			
31 დეკემბერი 2021	371	38	409
31 დეკემბერი 2022	321	34	355

ცვეთის ხარჯი შედის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში და საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31.დეკ.2022	31.დეკ.2021
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	567	378
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	567	378

მარაგები შედგება წამლებისგან და სამედიცინო სახარჯი მასალებისგან.

შპს „ინოვაცია ინვესტი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ათას ლარში)

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.დეკ.2022	31.დეკ.2021
სავაჭრო მოთხოვნები	1,189	976
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	(547)	(349)
სხვა გადახდილი ავანსები	386	201
საგადასახადო აქტივი, წმინდა	37	30
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,065	858

მოთხოვნების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა არსებითი.

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.დეკ.2022	31.დეკ.2021
ფული სალაროში	5	5
ფული სს „საქართველოს ბანკში“	754	696
ფული სს „ბაზის ბანკში“	7	85
	766	786

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.დეკ.2022	31.დეკ.2021
სავაჭრო ვალდებულებები მფლობელის მიმართ	56	45
სავაჭრო ვალდებულებები სხვა დაკავშირებული მხარეების მიმართ	41	12
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	79	72
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	3
გადასახდელი ხელფასები	151	87
მიღებული ავანსები	152	705
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	479	924

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა არსებითი.

12. ინფორმაცია ფინანსურ რისკებზე

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი (დებიტორი) ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი (დავალიანება) ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;

12. ინფორმაცია ფინანსურ რისკებზე (გაგრძელება)

- **ლიკვიდურობის რისკი:** რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- **საბაზრო რისკი:** რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკებს საბაზრო რისკის ძირითადი სამი კომპონენტიდან.

აღნიშნული რისკების ეფექტური მართვისთვის, კომპანია ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და საფასო რისკების მინიმიზაცია ყველა სახის ტრანზაქციებზე;
- „ბუნებრივი ჰეჯირების“ მაქსიმალური გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნების და ვალდებულებების ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებაში;
- ფინანსური რისკების მართვის ღონისძიებები ხორციელდება გონივრულად და თანმიმდევრულად, ბაზრის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

ფინანსური აქტივები	31.დეკ.2022	31.დეკ.2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,065	858
ფული და ფულის ეკვივალენტები	766	786
	1,831	1,644

ფინანსური ვალდებულებები	31.დეკ.2022	31.დეკ.2021
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	479	924
	479	924

საკრედიტო რისკი

კომპანია აკონტროლებს საკრედიტო რისკს და ცდილობს მხოლოდ სანდო კონტრაგენტებთან ჰქონდეს ურთიერთობა. კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი:

	31.დეკ.2022	31.დეკ.2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,065	858
ფული ბანკში	761	781
	1,826	1,639

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია მართავს ლიკვიდურობის რისკს მოსალოდნელი გადახდის ვადების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ათას ლარში)

12. ინფორმაცია ფინანსურ რისკებზე (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური ვალდებულებები დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით (საკონტრაქტო და არადისკონტირებული ფულადი ნაკადები).

	1 წელზე ნაკლები	1-დან 3 წლამდე	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	479	-	479
31.დეკ.2022	479	-	479

	1 წელზე ნაკლები	1-დან 3 წლამდე	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	924	-	924
31.დეკ.2021	924	-	924

ამჟამად კომპანია თვლის, რომ გადაიხდის ყველა ვალდებულებას საკონტრაქტო ვადაში. ამისათვის კომპანია ელოდება საკმარის ფულად ნაკადებს საოპერაციო საქმიანობიდან.

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა

ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და ისინი დგამენ გარკვეულ ნაბიჯებს სავალუტო რისკის შესამცირებლად.

ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით:

	ლარი	აშშ. დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	674	36	355	1,065
ფული და ფულის ეკვივალენტები	62	701	3	766
31.დეკ.2022	736	737	358	1,831

	ლარი	აშშ. დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	429	7	43	479
31.დეკ.2022	429	7	43	479

	ლარი	აშშ. დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	658	30	170	858
ფული და ფულის ეკვივალენტები	431	353	2	786
31.დეკ.2021	1,089	383	172	1,644

შპს „ინოვაცია ინვესტი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ათას ლარში)

12. ინფორმაცია ფინანსურ რისკებზე (გაგრძელება)

	ლარი	აშშ. დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	624	198	102	924
31.დეკ.2021	624	198	102	924

13. დაკავშირებული მხარეები

	2022	2021
ტრანზაქციების ოდენობა:		
შესყიდვები მფლობელი საწარმოსგან	596	542
შესყიდვები მენეჯმენტის მიერ კონტროლირებული საწარმოებისგან	208	121
მენეჯმენტის ანაზღაურება	1,648	1,240
ნაშთები 31 დეკემბრის:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
მენეჯმენტის მიერ კონტროლირებული საწარმოები	6	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		
მენეჯმენტის მიერ კონტროლირებული საწარმოები	40	1
მფლობელი საწარმო	56	40

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

დივიდენდის გაცემა

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ რეპორტის ხელმოწერის თარიღამდე კომპანიამ გამოაცხადა დივიდენდი 953 ლარის ოდენობით.